



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N045/20¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ქრისტინე თოლორდავა (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორის განმარტებით, 1999-2000 წლებში ადვოკატი იყო მოსამართლე, რომელმაც 1999 წელს მოსამართლის რანგში განიხილა საჩივრის ავტორის სააპელაციო საჩივარი და დააკმაყოფილა. 2005 წლის 20 ივლისის კანონიერ ძალაში შესული ლენტეხის რაიონული სასამართლოს N2/XX გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა საჩივრის ავტორის მოთხოვნა და საჯარო რეესტრში დაირეგისტრირა მიწის ნაკვეთი. 2018 წლის 23 ივლისს ადვოკატმა (ყოფილმა მოსამართლემ), როგორც საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგეების წარმომადგენელმა, მიმართა ლენტეხისა და ცაგერის რაიონულ სასამართლოებს და მოითხოვა 2005 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლითაც საჩივრის ავტორმა შეძლო მიწის საკუთრებაში რეგისტრირება. საჩივრის ავტორის განმარტებით, დაუშვებელია სამოსამართლეო საქმიანობის დასრულების შემდეგ იურისტმა იმავე საქმეზე განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 25 წლის განმავლობაში საკანონმდებლო თუ ფაქტობრივი საფუძვლის ცვლილება ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ ყველა განხილული საქმე შეეხება ერთი და იმავე მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით ნაწარმოებ საქმეს. ადვოკატმა მიუთითა, რომ მის მიერ 1999 წელს მოსამართლის რანგში განხილული საქმე დასრულებული იყო. ამჟამად, დავა, რომელიც მიმდინარეობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სამართლებრივად განსხვავებული იყო - სხვა მხარეებს შორის მიმდინარეობდა, დავის საგანი კი იყო ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლება სხვა საქმეზე. შესაბამისად, ადვოკატი მიიჩნევდა, რომ მასზე დაკისრებული ვალდებულება არ დაურღვევია.

სამართლებრივი შეფასება

საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.3 მუხლისა და აპეკ-ის 6.1, 6.2.ა, 6.2.ბ და 6.5 მუხლების შესაძლო დარღვევის შესახებ. კოლეგიამ განმარტა, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 2012 წლის ცვლილებების შემდეგ, სამივე მითითებული ნორმა (6.1, 6.2.ა, 6.2.ბ) კონფლიქტის დაუშვებლობას ავრცელებს არა მხოლოდ ერთი და იმავე, არამედ დაკავშირებულ საქმეებზეც, რადგან ადვოკატს გააჩნია კონფიდენციალობის ვალდებულება მოქმედი, პოტენციური და ყოფილი კლიენტების მიმართ. საპროცესო კოლეგიამ არ დაადგინა ამ მუხლებით განსაზღვრული ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმების დარღვევა, სადაც საუბარია ასევე დაკავშირებულ საქმეებზე, რადგან სახეზე არ გვაქვს ადვოკატის ორი ან მეტი კლიენტი, რომელთა მიმართ ადვოკატს სხვა ვალდებულებებთან ერთად, გააჩნია პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება. ასევე არ ვლინდება ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის პირადი ინტერესი. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.3 მუხლით დაწესებული შეზღუდვა არ ითვალისწინებს დაკავშირებულ საქმეებში მონაწილეობას, რადგან მოსამართლეს, ადვოკატისგან განსხვავებით, არ აქვს მხარეთა მიმართ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება. საპროცესო კოლეგიამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის ის პრეტენზია, რომ ადვოკატს 2018 წელს არ უნდა დაეწყო საადვოკატო მომსახურების გაწევა საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარეთათვის, რადგან ადვოკატმა მოითხოვა 2005 წლის

¹ <https://gba.ge/pdf/60a4ced4379b2.pdf/045.20%20ar%20agdzvra%2013.08.20.pdf>

20 ივლისის N2/XX გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლის განხილვაში მას, როგორც მოსამართლეს, მონაწილეობა არ მიუღია. 2018 წელს საქმეში წარმოდგენილია განსხვავებული დავის საგანი და მოდავე მხარეები. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით (მუხლი 8.3) კი ადვოკატს მაშინ ეზღუდება საადვოკატო საქმიანობა თუ მხოლოდ იმ საქმეზე (და არა მასთან დაკავშირებულ საქმეზე) განახორციელა მოსამართლის უფლებამოსილება, რადგან მოსამართლეს, განსხვავებით ადვოკატისაგან, არ გააჩნია კონფიდენციალობის ვალდებულება მხარეთა მიმართ.

დასკვნა

ადვოკატის მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა, რადგან არ დადგინდა მის მიერ ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების დარღვევა.